

6 წლიანი პატიმრობა და პოლიტიკური უფლებების აკრძალვა უცხოური დაფინანსების მიმღებ პირთათვის -

საქართველოს ხელისუფლების მიერ ინიცირებული მორიგი რეპრესიული ცვლილებების ანალიზი

27.02.2026

- ცვლილებების მოკლე შინაარსი და მიზანი

2026 წლის 28 იანვარს, „ქართულმა ოცნებამ“ [დააანონსა](#) მორიგი რეპრესიული ცვლილებების პაკეტი 6 საკანონმდებლო აქტში. ფორმალური ცვლილებები მთავრობის თანხმობის გარეშე უცხოური დაფინანსების მიმღები ორგანიზაციების საქმიანობის კრიმინალიზებას ახდენს, ხოლო იქ დასაქმებულ პირებს პოლიტიკური პარტიის წევრობას და შესაბამისად, პასიურ საარჩევნო უფლებას 8 წლით უკრძალავს. რეპრესიული ცვლილებების ამოქმედების შემდეგ საქართველოს მთავრობის ნებართვას საჭიროებს უცხოეთში რეგისტრირებული ორგანიზაციებიც, რომელთა საქმიანობაც საქართველოს საკითხებზე მუშაობას გულისმობს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომად გათვალისწინებულია 6 წლამდე პატიმრობა.

“ქართული ოცნება” აცხადებს, რომ ინიცირებული ცვლილებების გაცხადებული მიზანი ქვეყნის “არეულობის, ძალადობის და რევოლუციისგან დაცვაა”. სინამდვილეში, ცვლილებების მიზანია, სისხლის სამართლის დევნის მუქარით აიძულონ ქართული სამოქალაქო და მედია ორგანიზაციები შეწყვიტონ არსებობა და საქმიანობის გაგრძელება საქართველოს ფარგლებს გარეთდანაც [ვერ შეძლონ](#).

აღნიშნული ცვლილებები 2 მოსმენით უკვე მიღებულია და სავარაუდოდ, მარტის დასაწყისში შევა ძალაში.

- უცხოეთიდან საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე მატერიალური ან ექსპერტული მხარდაჭერის მიღება 6 წლიანი პატიმრობით დაისჯება

ინიცირებული ცვლილებებით ფართოვდება „გრანტის“ განმარტება და 6 წლიანი სისხლის სამართლებრივი პასუხისგებლობა დგინდება მათთვის, ვინც “გრანტს” მთავრობის ნებართვის გარეშე მიიღებს.

ცვლილებებით გრანტად მიიჩნევა სხვა სახელმწიფოს ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქის ან იურიდიული პირის მიერ საქართველოს მოქალაქის და საქართველოს იურიდიული პირისათვის, ასევე, სხვა სახელმწიფოს ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქის ან იურიდიული პირის მიერ სხვა სახელმწიფოს იურიდიული პირისათვის, რომლის საქმიანობა არსებითად მოიცავს საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტივობას - ფულადი ან ნატურალური ფორმით გადაცემული სახსრები, უსასყიდლოდ გაწეული ტექნიკური დახმარება, სპეციალიზებული ცოდნის, უნარების, ექსპერტიზის გაზიარება, მომსახურების ან/და სხვა სახის დახმარება, რომლებიც ხმარდება ან შეიძლება მოხმარდეს საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე რაიმე გავლენის მოხდენის რწმენით ან განზრახვით განხორციელებულ ან განსახორციელებელ ისეთ საქმიანობას, რომელიც მიმართულია საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ, გატარებისკენ, ან შეცვლისკენ.

ამდენად, “გრანტის” განმარტება იმდენად ფართოვდება, რომ მთავრობის ნებართვა საჭირო ხდება უცხოური ორგანიზაციის, ან მოქალაქისგან მიღებულ, ფაქტიურად, ნებისმიერი ფორმის მხარდაჭერაზე.

საქართველოს მთავრობის წინასწარი ნებართვა იქნება საჭირო უცხოურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზეც. მაგალითად, თუ უცხოური ორგანიზაცია საქართველოში ექსპერტს დაიქირავებს, ეს გრანტად ჩაითვლება და მთავრობის წინასწარ ნებართვას დაექვემდებარება.

როგორც უკვე აღინიშნა, რეპრესიული ცვლილებების ამოქმედების შემდეგ საქართველოს მთავრობის ნებართვას საჭიროებს უცხოეთში რეგისტრირებული ორგანიზაციებიც, რომელთა საქმიანობაც საქართველოს საკითხებზე მუშაობას გულისმობს.

- **უცხოური მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის პასიური საარჩევნო უფლების 8 წლიანი აკრძალვა**

დგინდება პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის ახალი, არაკონსტიტუციური საფუძველი, საარჩევნო ცენზი - სამუშაო ადგილი. კერძოდ, ინიცირებული ცვლილებებით პირს ეკრძალება პოლიტიკური პარტიის წევრობა იმ კალენდარული

წლიდან 8 წლის განმავლობაში, როცა მან ბოლოს მიიღო შემოსავალი უცხოური ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისგან.

მაგალითად, თუ პირი 4 წლის წინ მუშაობდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაში, რომელიც ფინანსდებოდა საერთაშორისო/უცხოური ფონდიდან, მას მომავალი 4 წლის განმავლობაში ეკრძალება პოლიტიკურ პარტიაში შესვლა და შესაბამისად კონსტიტუციით გარანტირებული პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობა. აღნიშნული ინიციატივა სრულიად არაკონსტიტუციურია და ემსახურება მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობის მსურველთათვის ხელოვნური გადაულახავი ბარიერების შექმნას, ვინაიდან, პირს, 8 წლის წინ, ან თუნდაც რამდენიმე თვის წინ არ შეიძლება სცოდნოდა, რომ ის საქმიანობის ადგილის გამო საარჩევნო უფლებას 8 წლის განმავლობაში დაკარგავდა.

ამ მიზნით, პოლიტიკური პარტიის წევრის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს განახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რაც ნიშნავს, რომ პარტიის წევრის პირად/საფინანსო ინფორმაციაზე წვდომა შეუზღუდავი იქნება. აუდიტის სამსახურს შეეძლება ნებისმიერი საჯარო და კერძო პირისგან (მათ შორის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერისგან) ინფორმაციის, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემის, სხვა პერსონალური მონაცემისა და საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის, გამოთხოვა.

- **საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე საქმიანობა პოლიტიკური პარტიის საქმიანობას უთანაბრდება**

ფართოვდება იმ პირთა წრე, რომელთაც პარტიების საქმიანობისთვის დადგენილი შეზღუდვები და რეგულაციები შეეხება. ცვლილებებით შემოდის “განცხადებული პარტიულ-პოლიტიკური მიზნის მქონე პირის” ცნება. ასეთად მიიჩნევა სუბიექტი, რომელიც არ არის რეგისტრირებული პოლიტიკურ პარტიად, თუმცა თავისი საქმიანობის შინაარსითა და საჯარო მოქმედებით, მათ შორის, მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში მონაწილეობით, არსებითად ჰგავს პოლიტიკურ პარტიას.

აღნიშნული ნიშნავს, რომ მკაცრი კონტროლისა და რეგულირების ქვეშ ექცევა ნებისმიერი სფეროს პოლიტიკაზე მომუშავე პირი - იქნება ეს გარემოსდაცვითი, განათლების, ეკონომიკური პოლიტიკა თუ სხვა, ასევე, საზოგადოებრივ პრობლემებზე საჯაროდ მოსაუბრე ნებისმიერი ადამიანი. მათზე გავრცელდება პარტიისთვის დადგენილი შეზღუდვები, რაც მათ პირად, მათ შორის ფინანსურ ინფორმაციასთან დაშვებასა და კონტროლს გულისხმობს.

- **სამეწარმეო სუბიექტებს პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლება ეკრძალებათ**

მეწარმე იურიდიული პირს ეკრძალება ისეთი საჯარო პოლიტიკური აქტივობის განხორციელება, რომელიც არ არის დაკავშირებული მის ძირითად სამეწარმეო საქმიანობასთან. ცვლილებებითვე განისაზღვრა, რომ პოლიტიკურ აქტივობად მიიჩნევენ საქართველოს ხელისუფლებაზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე ან საზოგადოების ნებისმიერ ნაწილზე რაიმე გავლენის მოხდენის მიზნით განხორციელებულ ან განსახორციელებელ აქტივობას, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ, გატარებისკენ ან შეცვლისკენ.

აღნიშნული ქმედებისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 20 000 ლარის ოდენობით, განმეორების შემთხვევაში 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ხოლო არაერთგზის ჩადენისას - 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთა იქნება შესაძლებელი. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება არა მხოლოდ უშუალოდ მეწარმე იურიდიულ პირს (ჯარიმა ან ლიკვიდაცია და ჯარიმა), არამედ ამ იურიდიული პირის პასუხისმგებელ ინდივიდუალურ პირს, მაგალითად, დირექტორს.

ამგვარი ფორმულირების პირობებში, შესაძლებელი იქნება მეწარმე სუბიექტს აეკრძალოს საჯარო კრიტიკული განცხადების გაკეთება საგადასახადო ან საბაჟო პოლიტიკასთან დაკავშირებითაც კი.

- **პასუხისმგებლობის გამკაცრება და სისხლის სამართლის წესით დასჯადობა**

სისხლის სამართლის კოდექსში ჩნდება ახალი დანაშაული: „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა, “უცხოეთის ორგანიზაციასთან ან უცხოელ პირთან არამართლზომიერი თანამშრომლობა”, რომლის ყველა ნაწილი სასჯელის ერთ-ერთ შესაძლო სახედ 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

იმავე კანონით, გრანტის მთავრობის თანხმობის გარეშე პირდაპირ ან არაპირდაპირ მიღება ან ასეთი გრანტის გამოყენება შესაძლებელია დაისაჯოს 6 წლით თავისუფლების აღკვეთით ფიზიკური პირისთვის, ხოლო იურიდიული პირი დაისჯება ჯარიმით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

“გრანტების შესახებ” კანონის ზემოაღნიშნული ახალი რეგულაციების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებული იქნება სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრინციპის - კანონის უკუძალის აკრძალვის უგულებელყოფით.

მაგალითად, თუ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირს მიღებული აქვს ისეთი გრანტი, რომელიც გრანტის მიღების დროს საქართველოს მთავრობის თანხმობის არ საჭიროებდა, თუმცა ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის ეს გრანტი ასეთ თანხმობას საჭიროებს, ეს პირი ვალდებული იქნება მიღებული გრანტის გამოყენებაზე თანხმობის მისაღებად ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში მიმართოს მთავრობას თანხმობის მისაღებად. თანხმობის მიღებამდე, ასევე შესაბამისი თანხმობის ვერ მიიღების შემთხვევაში, გრანტის გამოყენება სისხლის სამართლის წესით დაისჯება.

- **ხელისუფლების არალეგიტიმურად მიჩნევა სისხლის სამართლის დანაშაული ხდება**

იქმნება ახალი დანაშაული - “ექსტრემიზმი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ”, რომლითაც შესაძლოა 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისაჯოს, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ხელისუფლების ორგანოებისადმი მასობრივად დაუმორჩილებლობისკენ, საქართველოს ხელისუფლების ორგანოების ალტერნატიული ორგანოების შექმნისკენ სისტემატურად საჯარო მოწოდება, ამავე პირის მიერ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლად სხვისი ან საკუთარი თავის თვითნებურად, საჯაროდ და სისტემატურად წარმოჩენა, თუ რომელიმე აღნიშნული მოქმედება მიმართულია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ან კონსტიტუციური ორგანოების არალეგიტიმურობის შესახებ აღქმის დამკვიდრებისკენ და აზიანებს საქართველოს ინტერესებს ან ქმნის საქართველოს ინტერესების დაზიანების რეალურ საფრთხეს. “ქართული ოცნების” მიერ სრულად კონტროლირებული სასამართლოს პირობებში, ასეთი მუხლი ნებისმიერი პოლიტიკოსის მიმართ შეიძლება იქნას გამოყენებული, მათ შორის, მეხუთე რეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ.